



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000093453811920

№ 02-92-R

05 / ივნისი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის აღდგენის განსახორციელებლად შენობის გახსნის შესახებ“ რექტორის 2020 წლის 04 ივნისის N02-91-R ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის აღდგენის განსახორციელებლად შენობის გახსნის შესახებ“ რექტორის 2020 წლის 04 ივნისის N02-91-R ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, მიმდინარე წლის 5 ივნისიდან გაიხსნას კონსერვატორიის სარგებლობაში არსებული სამი შენობიდან, შენობა, მდებარე ქ. თბილისი, გრიბოედოვის 8-10-ში.


2. შენობაში სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საქმიანობა წარიმართოს ეტაპობრივად.

3. სასწავლო დეპარტამენტის და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წინასწარ მომზადებული გეგმა-გრაფიკის საფუძველზე, მიმდინარე წლის 5 ივნისიდან შენობაში სამეცადინოდ შესვლა შეეძლება მხოლოდ საფორტეპიანო, კამერული, სიმებიანი, საკონცერტმაისტერო და სავალდებულო ფორტეპიანოს მიმართულებების პედაგოგებს, კონცერტმაისტერებს და სტუდენტებს, ვოკალის და ჩასაბერი სპეციალობის ილუსტრატორების გარეშე და ადმინისტრაციულ პერსონალს.

4. მიმდინარე წლის 8 ივნისიდან შენობაში შესვლა შეეძლება აკადემიური სიმღერის მიმართულების პედაგოგებს, კონცერტმაისტერებს და სტუდენტებს.

5. მიმდინარე წლის 8 ივნისიდან შენობაში შესვლა შეეძლება აკადემიური გუნდის მიმართულების პედაგოგებს, კონცერტმაისტერებს და სტუდენტებს.
6. მიმდინარე წლის 9 ივნისიდან შენობაში შესვლა შეეძლება კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და პედაგოგებს წინასწარ მომზადებული გრაფიკის მიხედვით, კონსერვატორიის მიერ ინსტრუმენტების მიხედვით მომზადებული ეტაპობრივი გეგმის შესაბამისად.
7. მიმდინარე წლის 10 ივნისიდან შენობაში შესვლა შეეძლება საორკესტრო ჩასაბერი და საოპერო მომზადების მიმართულებების პედაგოგებს, კონცერტმაისტერებსა და სტუდენტებს.
8. სასწავლო დეპარტამენტმა უზრუნველყოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის შეთანხმების საფუძველზე სამეცადინო კლასების გამოყოფა.
9. სასწავლო დეპარტამენტმა უზრუნველყოს დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ინსტრუმენტების არმქონე სტუდენტებისათვის სამეცადინო კლასების გამოყოფა.
10. შემომსვლელებმა უნდა დაიცვან შენობაში მათი ყოფნისათვის განკუთვნილი დღე და დრო.“.
11. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

ნანა შარიქაძე